ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** კვირა, 11 ნოემბერი № 1638

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, **№ 27** და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** **ტელეფონი № 372.**

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
1 წლით . . . . . 10 მ.	1 წლით . . . . . 13 მ.
6 თვით . . . . . 6 „	6 თვით . . . . . 7 „
3 „ . . . . . 3 „	3 „ . . . . . 5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
1 წლით . . . . . 6 მ.	1 წლით . . . 11 მ. —
6 თვით . . . . . 4 „	6 თვით . . . 6 „ 50კ.
1 „ . . . . . 75 „	1 „ . . . 1 „ 10 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ კარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა აქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება საშვე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

კვირას, 11 ნოემ **ქართული თეატრი** **ბერს 1901 წელს**

✕ დაკლებულ ფასებით ✕

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად მ. მ. **საფაროვ-აბაშიძის** მონაწილეობით

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქ. დენიერისა, თარგ. ა. ცაგარლის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარართელი, ნებიერიძისა, მდივანი და ლეჟავა. ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, კამყრელიძე, გედევანოვი, შათიროშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

ადგილების ფასები: გალერეია 20 კაპ., პარტერი—50 კაპ., ლოჟა—3 მან.

მზადდება **ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ** ახალი პიესა ოსტროვსკისა **„მგლები და ცხვარნი“.**

რეჟისორი **ვ. გუნია.**

დარბაზი ვეტცელისა

(მიხეილის პროსპექტზე).

კვირას, 11 ნოემბერს 1901 წ. უფასო სამკითხველოების სასარგებლოდ გაიმართება

საღამო.

ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

I

გაცრუებული იმედები

(კომ. 2 მოქმ. ქ-ნ აზიანისა)

II

წარმოდგენის შემდეგ

ცეკვა

ბილეთები იყიდება სამკითხველოში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში); წარმოდგენის დღეს-კი თვით დარბაზის კასაში.

დასაწყისი 8 საათზე. (უ.—1—1)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—8)

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 11 დღესა, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო სადგილ მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება. მოსახდენია: 1) არჩევანი გამგეობის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა, 2) არჩევანი სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა; 3) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—3)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, **№ 16**, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში იყიდება სამი წლის ხეხილის ნერგები. ვაშლის ხისა—წითელი, თეთრი და ყვითელი კალვილი, ანტონოვკა, სინაპი და რენეტი; მსხალი—ალექსანდრეული და ზამთრის გულაბი; ატმები. ფასები ხელ მისაწვდომია. (3—3)

„ცნობის ფურცლის“ დღევანდელ №-თან ერთად ეგზავნება ხელის-მომწერთ **სურათებიან დამატების** მე-14 ნომერი.

რუსეთის ერობის მოქმედება სახალხო განათლების საქმეში

მრავალ-მნიშვნელოვანი მოღვაწეობა ერობისა რუსეთში, სხვათა შორის, შეეხო სახალხო განათლების საქმეს; ამ მხრივ ერობამ დიდი კვალი დააჩნია რუსეთის ცხოვრებას. «Русская школа»-ს მე-9 №-ში მოყვანილია საინტერესო სტატისტიკური ცნობები, რომლებიც გვსურს განვუზიაროთ ქართველ საზოგადოებას და იმ პირთ, რომელნიც სცდილობენ ერობის შემოღებას ჩვენში.

ერობა მოქმედებს შიდა რუსეთის 34 გუბერნიაში. ქვემოდ მოყვანილი ცნობები კი შეეხება მხოლოდ ტამბოვის გუბერნიას, რადგან ამ გუბერნიას საშუალო ადგილი უჭირავს საერობო გუბერნიების მოქმედებაში და ამიტომ მეტ ნაკლებობით მაჩვენებელი არის ერობის საზოგადო მოღვაწეობისა რუსეთში.

ერობის შემოღებამდე ტამბოვის გუბერნიაში ირიცხებოდა სულ 101 სკოლა სახელმწიფო ქონებათა უწყებისა, რომლებზედაც იხარჯებოდა 23628 მ. ამ გვარად: მე-2 ხარისხის თითო სკოლაზე 189 მან. (მასწავლებელის ჯამაგ. 100 მ., სახლის ქირა, გათბობა და განათება 45 მ., სასწავლო ნივთები 27 მ. და მოახლე 17 მ.) პირველ ხარისხის სკოლის ხარჯს ემატებოდა ყოველ წლივ მხოლოდ 75 მ. მასწავლებლის თანაშემწისთვის.

მოყვანილი ციფრები საკმაოდ ახასიათებენ ამ სკოლების უმწეო მდგომარეობას. უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო სასულიერო უწყებისა და სხვა კერძო სკოლები, რომლებზედაც ორთა შუა რიცხვით იხარჯებოდა წელიწადში 25 მ. ან სულ არაფერი! რა თქმა უნდა, ამ გვარ სკოლებში სწავლის საქმეც ძალიან დაქვეითებული იქნებოდა. „სწავლის საქმე, მოგვითხრობს ერთი რევიზორი, წერა-კითხვის ცოდნას არ აღემატებოდა, ამასთან მცირედი რიცხვი მოწაფეთა სწავლობდა კითხვას, უფრო ნაკლები წერას. ბევრ სკოლებში სწავლა სრულიად არ სწარმოებდა და მხოლოდ ქაღალდზე ირიცხებოდა მათი არსებობა.

ხალხი მეტად გულ-გრილად ეკიდებოდა სკოლის საქმეს. დაბალ წოდებაში სრულიად გაღვიძებული არ იყო სწავლის სურვილი. უფრო სიმართლეს დაახლოვებული იქნება იმის თქმა, რომ სახალხო განათლება ერობის შემოღების პირველ ხანებში **არ არსებობდა.**

ერობამ იკისრა ამის დაარსება. ერობამ მოამზადა სახალხო სასწავლებელთა კონტინგენტი და აღმოაჩინა საშუალება სასკოლო შენობის მოსაპოებლად. ერობამ მოიპოვა სკოლებს საჭირო სასწავლო ნივთები და დაამკვიდრა სწავლის თანამედროვე მეთოდები. ერობამ გახსნა სკოლებთან წიგნთ-საცავები და გამოარკვია ურთი-ერთობა სოფლის საზოგადოებათა და საერობო დაწესებულებათა შორის სკოლის ხარჯის გამოღების შესახებ. ერობამ გამოიწვია ხალხის თანაგრძნობა სკოლისადმი და სხ. ეს დიდი და საშვილიშვილო საქმე ერობამ ბრწყინვალედ აასრულა და შექმნა სახალხო განათლების ორგანიზაცია, რომლითაც დღეს სარგებლობს მომეტებული ნაწილი რუსეთის იმპერიისა.

ამ იდენა ნაყოფს წინ უძღოდა დიდი შრომა. ხალხის ბნელეთიდან სინათლეში გამოყვანა იყო უპირველესი მიზანი ერობის შემოღებისა. ერობას კარგად ესმოდა, რომ ხალხის ყოველ-გვარ წინ-სვლას საფუძვლად უძევს წერა-კითხვა და სწავლა-ცოდნა, ე. ი. სკოლა და ბიბლიოთეკა, ამიტომ ამ ორ უპირველეს იარაღს ერობამ მიაქცია თავისი განსაკუთრებული ყურადღება.

დასახელებულ გუბერნიაში ირიცხებოდა:

1868 წ.—170 სკ.— 5322 ვაჟ.— 405 ქ.
1880 „—455 „—22600 „—1384 „
1894 „—581 „—38090 „—5018 „
1899 „—697 „—43822 „—7288 „

მოყვანილ წლების განმავლობაში რიცხვი მოსწავლე ვაჟთა გამრავლდა 8-ჯერ, ქალთა 18-ჯერ. ყოველ 1000 სულზე მოსწავლეთა რიცხვი მოდიოდა 1868 წ. 11 1899 წ—37. თუ რამდენად გავრცელდა ხალხში წერა-კითხვა, დავინახავთ ახლად მოკრეფილ ჯარის კაცთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტებიდან: 1899 წ. ამათ შორის წერა-კითხვის მცოდნე იყო 10%, ე. ი. თითქმის 5 ჯერ მეტი.

სკოლების რიცხვთა გამრავლებას თან მოსდევდა ხარჯის ზრდაც, რომელიც გამოიხატება შემდეგ რიცხვებში: სამაზრო კრებებს მიერ გადადებული იყო სწავლა-განათლების საჭიროებაზე 1870 წ. 40427 მან., 1880 წ. 120306 მ., 1890 წ. 203866 მ. და 1900 წ. 440156 მ. ამ ნაირად სამოცდა-ათიან წლებში სწავლის ხარჯმა იმატა 80000 მანათით, ოთხმოციან წ.წ. 83000 მან. და ოთხმოც-და-ათიან წ.წ. 237000 მ. უფრო დამახასიათებელია შემდეგი შედარება: 1870 წ. სწავლის ხარჯი შეადგენდა საზოგადო ხარჯის 5,66 პროცენტს, 1880 წ. 10,46 პროცენტს, 1890 წ. 13,65 პროც. და 1900 წ. 19,67 პროცენტს

სკოლების რიცხვთა გამრავლებას და წერა-კითხვის გავრცელებას შედეგად მოჰყვა ხალხის გამოღვიძება და სწავლა-ცოდნის სურვილის გაძლიერება. ხალხმა სრულიად გამოიცვალა შეხედულობა სკოლაზე. ერობის შემოღების პირველ ხანებში სახალხო სკოლა არ სარგებლობდა თანაგრძნობით იმათგან, ვისთვისაც იგი იყო დანიშნული. არა იშვიათი იყო შემთხვევა სკოლის დახურვისა იმ მიზეზის გამო, რომ დედ-მამანი არ ატარებდნენ შვილებს სასწავლებელში. საჭიროდ შეიქმნა ძალდატანებითი კანონის შემოღება ხალხის ამ მიმართულების წინააღმდეგ. მაგრამ, რადგან ამის მიზეზი თვით სკოლა იყო და მისი უნაყოფობა, ამიტომ აქაც ერობამ სხვა ფრივ მოუარა საქმეს და იმგვარ პირობებში ჩააყენა სწავლის წესი სკოლებში, რომ ხალხმა თვალ-ნათლად დაინახა მისი დიდი მნიშვნელობა და სრულიად გამოიცვალა თავისი წინანდელი შეხედულობა. 1898—1899 სამოსწავლო წელს სამინისტრო სკოლებში მიღებული იყო 15614 ვაჟი და 3666 ქალი, უადგილობის გამო უარი ეთქვა 7157 ვაჟს და 2599 ქალს. სკოლის გარეთ დარჩენილთა რიცხვი ყოველ წლივ იზრდება იმის მიუხედავად, რომ თვით სკოლების რიცხვი ყოველ წლიურ მრავლდება—ასე გაძლიერდა ხალხში სწავლა-ცოდნის სურვილი. სკოლის რიცხვზე სწავლის მოთხოვნილება უფრო მეტად იზრდება. ამ სურვილის გაძლიერებას საფუძვლად ის მოსაზრება არ უდევს, რომ სახალხო სკოლის მოწმობა სამხედრო სამსახურში შეღავათს აძლევს—არა, ამის მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს, რადგან ვაჟებთან ერთად ქალებიც არა ნაკლებ სწავლის სურვილს იჩენენ, თუმცა უკანასკნელნი ამ შემთხვევით არა სარგებლობენ.

ყველა უწყების სკოლების მოწაფენი შეადგენენ 83 პროცენტს საზოგადო ბავშვთა რიცხვისას, ე. ი. ყოველ 100 სასკოლო ჰასაკის ბავშვში 83 სწავლობს, 17 სკოლის გარეშე რჩება. ამ მოსწავლეთა რიცხვში 49 პროცენტს შეადგენენ საერობო სკოლების მოწაფენი, დანარჩენნი ითვლებიან სხვა უწყების მოწაფეებად. მოსწავლე ბავშვთა 83 პროცენტი, როგორც ვხედავთ,

უახლოვდება საყოველთაო სწავლების შემოღებას.

საყოველთაო სწავლების შემოღებას ცდილობს ერობა და რამდენიმე წელიწადში მიაღწევდა კიდეც, თუ რომ დამაბრკოლებელი მიზეზი არ გადაჰღობებოდა წინ. საქმე იმაშია, რომ წარსულ წელს გამოვიდა კანონი ხარჯთ-აღრიცხვის ფიქსაციისა (შეჩერებისა), რომლითაც საერობო დაწესებულებას ფრთები ეკვეცება საზოგადო ხარჯის განაწილებაში. მას, სხვათა შორის, არ შეუძლიან სწავლის საჭიროებაზე ხარჯის გადიდება ყოველ წლივ უმეტეს 3 პროცენტისა. თქმა არ უნდა, ეს გარემოება შეაჩერებს ერობის მოქმედების წინ-სვლას სწავლა-განათლების სფერაში.

1900 წელს 34 გუბერნიამ, სადაც მოქმედებს საერობო დაწესებულება, ხალხის განათლების საქმეს მოახმარა 15.358,000 მან. ეს ჯამი რამდენჯერმე აღემატება იმ ხარჯს, რომელიც გადადებულ იქმნა სამინისტროს მიერ დაბალ სკოლებზე. 5 წლის წინად (1895 წ.) ერობამ დაახარჯა ამავე საგანზე 9,327,000 მ., მაშასადამე საერობო ხარჯი ყოველ წლივ იზრდებოდა ერთ მილიონ მანეთზე უფრო მეტით. სასკოლო ხარჯი შეადგენდა საზოგადო ბიუჯეტის 14,12 პროცენტს 1895 წ. და 17,5 პროცენტს 1900 წ. 1895 წ. სასკოლო ხარჯს ეჭირა მე-3-მე ადგილი, 1900 წ. კი მე 2-რე.

ეს უკანასკნელი ცნობები ნათლად ახასიათებენ ერობის სიმპატიურ მოქმედებას უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში (1895—1900 წწ.) ამის შემდეგ კი ერობა იძულებული გახდა შეაჩეროს ხარჯთ-აღრიცხვის ზრდა სწავლა-განათლების საჭიროებისთვის ზემოთ დასახელებულ მიზეზის გამო.

გ. ხრამელი.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

9 ნოემბერი

პეტერბურგი. 9 ნოემბერს საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.

$4\frac{1}{2}$ o/o ობლიგაციების ნებაყოფლობით გამოცვლისათვის რკინის გზების 1890 და 1892 წლების სესხისა და 1893 წ. შინაგან სესხისა, ეხლა უკვე გამოცემულის სახელმწიფო 4 პროცენტიან რენტის 14 სერიის გარდა, გამოიცემის ახალი 246 სერია ათი მილიონ მანეთისა.

პოტსდამი. პოტსდამის გარნიზონის ახალი ჯარის კაცების დაფიცებას დაესწრო იმპერატორი და ერცჰერცოგი ფერდინანდ-კარლი. იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა.

ჩისტოპოლი. ნამდვილი ზამთარი დადგა; თოვლი ბევრი მოვიდა. მდინარე კამაზე ყინულზე გადადიან.

მოსკოვი. 9 ნოემბერს ბოტკინების საჩაიო ფირმა დღესასწაულობს თავის ასი წლის არსებობის იუბილეს.

ლონდონი. გერმანიის წინანდელი ელჩი გაცფელდი დღეს გარდაიცვალა გერმანიის საელჩოში.

ვარშავა. არხიეპისკოპოსმა იერონიმემ გადაწყვიტა დააარსოს საზოგადოება ვარშავის სასულიერო სასწავლებლის შეგირდების დასახმარებლად.

ბენდინიდან იუწყებიან, რომ იმ 30 კაცთაგან, რომელნიც დამწვარ ვაგონში აღმოჩნდნენ, ვარშავა-ვენის რკინის გზაზე, სამი დაიწვა, მეოთხე ამ დღეებში გარდაიცვალა, მეხუთის მორჩენის იმედი არ არის, რაც მძიმედ არის დაშავებული, სამი სუბუქად და 14 კი გადარჩა.

ვილნო. 9 ნოემბერს დანიშნული იყო ბლონდესის საქმის გარჩევა და, რაგანაც ნაფიცი მსაჯულები საკმაოდ არ იყვნენ, საქმე გადაიდვა.

ლონდონი. პარლამენტის მოწვევა დანიშნულია სამ იანვრისათვის. *).

10 ნოემბერი

ჩიტა. ოფიციალურის ცნობებით კოლომშინის ულუსში, ვერხნეუდინის ოლქში გაჩნდა საქონლის ჭირი. ჩიტაში დიდი თოვლია.

კონსტანტინოპოლი. დიდმა ვეზირმა საიდ-ფაშამ მიმართა ყველა გუბერნატორებს დეპეშით და თხოულობს მათგან, რომ უთუოდ აასრულონ სურვილები სულთანისა, რომელსაც სურს გააბედნიეროს ყველა ქვეშევრდომები.

დივიზიის გენერალი შაქირ-ფაშა დაინიშნა სკუტრის გუბერნატორად და კომენდანტად.

ვენა. ყველა პოლიტიკურ პარტიების მეთაურები შეიკრიბნენ სათათბიროთ; თათბირში მონაწილეობას იღებდა კერბერიც.

ლოძი. კალიშ-ვარშავის რკინის გზაზე ვოლია-კალიშის ნაწილი ამ თვეში გათავდება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხრეთ-აფრიკა. ბოტამ დაამარცხა ინგლისის ჯარი და ისევ ნატალისაკენ დაბრუნდა. რამდენიმე ინგლისელი გენერალი გამოუდგა, უნდოდათ მოემწყვდიათ სადმე და ხელში ჩაეგდოთ. «ბერლინერ ტაგებლატ»-ს სწერენ ლონდონიდან:

«აქ ხმა გავრცელდა, რომ ბურების მთავარსარდალს ბოტას ნატალის საზღვარზე კიდევ ძალზე დაუმარცხებია ინგლისელებიო. ინგლისის მთავრობა კი ამტკიცებს, რომ მაგისთანა ამბავი ჯერ არ მიგვიღია სამხრეთ-აფრიკიდანაო».

✡ «რუსეთის დეპეშათა სააგენტო» შესანიშნავი სააგენტოა. ეს სააგენტო ცოტა «თავისუფლად» თარგმნის ლორდ-კიჩენერის დეპეშებს. თითონ ლორდიც უცნაურად ადგენს ამ დეპეშებს, რუსეთის სააგენტო ხომ სულ სახიდან შეშლის ხოლმე. კიტჩენერი იწერებოდა თურმე: «ჯარები წავიდნენ, რომ ორანჟის რესპუბლიკის ჩრდილოეთ აღმოსავლეთიდან დევეტის რაზმი განდევნონო».

«რუსეთის სააგენტოსა» კი ასე გადაეთარგმნა ეს დეპეშა:

«დევეტი ორანჟის რესპუბლიკიდან განდევნეს და ეხლა ამ ქვეყანაში ერთი მეომარი ბური აღარ დარჩაო».

აი ასეთ უტყუარ ცნობებს გვზავნის «რუსეთის სააგენტო». მაგრამ ეს დარჩეს და ისევ დევეტზე ვილაპარაკოთ.

ბურების საარაკო სარდალზე გაზ. «ტანა»-ი სწერს: «ინგლისელებმა მრავალჯერ დასწერეს, დევეტი გარდაიცვალაო, მაგრამ ეხლა თითონ კიტჩენერი იწერება, რომ დევეტის წინაამდეგ ჯარები გავგზავნეთო. სწორედ დევეტს დრო ტყუილად არ დაუკარგავს და ახალი ჯარი შეუკრებია. ცხადია ისიც, რომ ინგლისელების მდგომარეობა დღე და დღე უარესი ხდება დევეტი ხომ ამას იქით მოსვენებას აღარ მისცემთ, ამას გარდა, ბურები ნატალსაც არ ეშვებიან და კიდევ შესევას აპირებენ ამ ქვეყანაში. საზოგადოთ ლორდ-კიტჩენერი ვერაფერს სამახარობლო ამბებს იწერება ამ ბოლო დროს. სხვათა შორის, ამ დღეებში მოიწერა: ლორდ-მეტუენმა დელარეისა და კემპის წინაამდეგ გაილაშქრა, დასავლეთ ტრანსვაალში. წელიწად ნახევარი შესრულდა, რაც ლორდ-მეტუენი დასავლეთ ტრანსვაალში მოქმედებს და იქიდან ფეხს ვერ იცვლის. რას აკეთებს იქ? თუმცა ინგლისის მთავარ-სარდალი აქეთ-იქით ჯარებსა გზავნის, მაინც ბურები არას ეპუებიან, კაპის კოლონიისაკენ მიიწევენ და კაპშტადის ახლო იყრიან თავსა.

✡ ბურების სარდალი დოტარი ამ ნაირად დაუსჯიათ «რეიტერის სააგენტო» სწერს:

«სასამართლოს განაჩენი დიდის ამბით გამოუცხადეს დოტარს. მთელი მიდლბურგი შეზარა ამ ამბავმა. მაიორ მარისის ბრძანებით მთელ ქალაქში, ყველა სასამართლოები და დუქნები დაიკეტა. ყველა გამოჩენილ მცხოვრებლებს, ჰოლანდიელებსაც და ინგლისელებსაც, უბძანეს, რომ მოედანზე გამოსულიყვნენ და სასამართლოს განაჩენის წაკითხვას დასწრებოდნენ. მოედანს გარშემო ჯარი შემოარტყეს, ცხენოსანმა რაზმმა ტყვე ბურები მოედანზე მოიყვანა. დოტარს ყოჩაღად ეჭირა თავი და შიში სრულებით არ ემჩნეოდა. განაჩენი წაუკითხეს. ბურებმა უშიშრად მოისმინეს ეს განაჩენი. ბოლოს ყველანი უკან წაიყვანეს ციხეში. მეორე დღეს დოტარი ფურგუნით ქალაქ გარედ გაუყვანიათ და თოფით დაუხვრეტიათ. დამსწრენი ამბობენ, დოტარი ყოჩაღად ჩამოვიდა ფურგუნიდან და დანიშნულ ადგილას დადგაო. სამი წამიც არ გავიდა, რომ დოტარმა სული მიაბარაო. სამი დღის შემდეგ ამავე ადგილას მიდლბურგის მოქალაქე პიტ ვოლფაარდი დახვრიტეს, ტარკასტადში კიდევ დოტერის ლეიტენანტი შემანი დასაჯეს. ამ საზარელმა ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

✡ თუ რა შედეგი მოსდევს ამისთანა სასტიკობას, ამას გაზეთი «დეილი ნიუს»-ი მოგვითხრობს. მე-XVIII საუკუნეში ჩრდილოეთ ამერიკა აუჯანყდა ინგლისს. მაშინაც ინგლისელები სასტიკად ექცეოდნენ თურმე ამერიკელებს, უნდოდათ უღვირობითა და სასტიკობით შეეშინებინათ, მაგრამ სულ სხვა გამოვიდა. მაშინდელ ამერიკელ მოღვაწეს, განთქმულ ფრანკლინს 1776 ლორდ ჰოუსისთვის ამნაირი წერილი მიუწერია:

ფრანკლინი ჯერ ასწერს, თუ რა უღვირად ექცეოდნენ ინგლისელები, რა ნაირად სწვავდნენ ამერიკის ქალაქებს და სხვა, შემდეგ ასე განაგრძობს: «ჩვენ გულწრფელად გვიყვარდა ჩვენი სამშობლო ინგლისი, ამ უღვირობამ კი სულ მთლად ჩაგვიქრო ეს სიყვარული. და თუნდაც რომ ჩვენ (ამერიკელებმა) შეგინდოთ და დავივიწყოთ ყველა ეს ამბები, თქვენ თითონ (ინგლისელები) ვეღარ აპატიებთ, ვეღარ შეურიგდებით და ვეღარ იქნებით კარგით გულით იმათზე, ვისაც ასე გულქვად ექცეოდითო».

«დეილი ნიუს»-ი დასძენს: სწორედ ამნაირი ამბავი ხდება ეხლა სამხრეთ-აფრიკაში, ჩვენი ეხლანდელი მთავრობა სწორედ იმნაირვე ყოფაშია, როგორშიაც მე-XVIII საუკუნის მთავრობა იყო. განა შეუძლიან და იმათ შეურიგდეს და აპატიოს, ვისაც ასე უღვირად ექცეოდა? მამებს «თავშესაფარ ბანაკებში» გაუწყვიტა შვილები, ფერმერებს სახლ-კარი ნაცრად უქცია და ეხლა შეუძლიან განა ჩვენ მთავრობას ამ უბედურ მამებსა და ფერმერებს პოლიტიკური უფლება მიანიჭოს? რამდენიც მეტ უაზრო უღვირობას ჩავიდენთ, სამხრეთ-აფრიკის დამშვიდებაც იმდენი უფრო გაძნელდება. ბოლოს დაპყრობილ რესპუბლიკების შესარჩენად, იქ ნადაგ, სულ მცირედ, 70 ათასი ჯარი დაგვჭირდება; ამდენა ჯარი კი ინგლისსაც დაღუპავს და სამხრეთ-აფრიკასაც.

ჩინეთი. «რუსეთის დეპეშათა სააგენტომ» გუშინ ასეთი ამბავი აუწყა ქვეყნიერობას: «მანჯურიაში რუსის ფული, ქაღალდის მანეთიანი 1 მ. 20 კ.—1 მ. 30 კ. გადის, ამერიკის შეერთებული შტატების ფულის, დოლარის ფასი კი დაეცა, 20—30 პროცენტით დაჰკლდაო»

ახალი ამბავი

✦ გუშინდელს სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ მოისმინა ბათუმის ქალაქის მოურავის მოადგილის დეპეშა ბათუმის ქალაქის თავის **ლუკა ნიკოლოოზის ძის ასათიანის** გარდაცვალების შესახებ და დაადგინა, გაუგზავნოს ბათუმის ქალაქის გამგეობას შემდეგი სამძიმრის დეპეშა: «ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს გულითად მწუხარებას კავკასიის ქალაქების თვით-მმართველობის ღირსეულის წარმომადგენლის ლუკა ნიკოლოოზის ძის ასათიანის გარდაცვალებისა გამო. ეს სამწუხარო ამბავი ქალაქის საბჭოს მახლობელს სხდომას ეუწყება; გთხოვთ გარდაცვალებულის კუბო შეამკოთ გვირგვინით ქალაქ ტფილისის სახელით, რისთვისაც გიგზავნით 50 მან.“

✦ გუშინ, 10 ნოემბერს, გიორგობა დღეს **ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში** მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო კირიონი ქალაქის სამღვდელოების თანადასწრებით. როგორც წინა დღით ლოცვას, ისე წირვასაც მრავალი ხალხი დაესწრო. ჩვეულებრივ ბევრი ჩამოვიდა სოფლებიდან ღამის სათევად.

✦ დღეს, 11 ნოემბერს, **ქართულ თეატრში** ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება მ. მ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით ამ სეზონში პირველად ლენიერის 5 მოქმედებიანი მელოდრამა «ორი ობოლი» თარგმანი ავქ. ცაგარლისა. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის განკარგულებით, ფასები ძალიან დაკლებულია.

✦ როგორც ვიცით, ძველი ჩვეულებისა და ქართულ კანონების მიხედვით, როგორც უმაღლესად დამტკიცდა რუსების ჩამოსვლის შემდეგ, **სახაზინო გლეხს** უფლება აქვს უსასყიდლოდ ისარგებლოს სახაზინო ტყის განსაზღვრულ რაოდენობით. ეხლა ხალხი გამრავლდა და ეს ძველად განსაზღვრული რაოდენობა ტყის მასალისა სრულებით ვერ აკმაყოფილებს გლეხების მოთხოვნილებას. ამიტომ სახაზინო გლეხების ერთ საზოგადოებას მიუმართავს სატყეო დეპარტამენტისათვის ამ საგნის გამო და თხოულობს უსასყიდლო სატყეო მასალის რაოდენობის ახალ განსაზღვრას კომლეულთა ეხლანდელ რაოდენობის მიხედვით.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება **სახალხო კითხვათა** ტფილისის კომისიისა წარსულ წლის ანგარიშის განსახილველად და ბიუროს წევრების ამოსარჩევად.

✦ ხუთშაბათს, 8 ნოემბერს, ტფილისის გუბერნიის **ქალაქის საქმეთა საკრებულომ** არა სასურველად იცნო, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსანი იმავე დროს ქალაქის სამართველოში რაიმე ჯამაგირიან თანამდებობას ასრულებდეს. ამავე სხდომაზე საკრებულომ განიხილა ქალაქის ამა მიმდინარე წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა და დაამტკიცა იგი.

✦ ტფილისში **ღარიბთა სამკურნალოს** დაარსების პროექტი გარდაეცა ქალაქის ექიმებს თარხნოვსა და შავერდოვს დაწვრილებით განსახილველად და შესავსებლად. შემდეგ ეს პროექტი უნდა წარუდგინონ ქალაქის საბჭოს.

✦ პარასკევს, 9 ნოემბერს, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომაზე მოლაპარაკება ჰქონდათ იმის შესახებ, თუ ვის დანიშნონ **ტფილისის საბაღოსნო სკოლის მზრუნველად.** ხმის უმეტესობით მზრუნველის კანდიდატად დასახელებულ იქმნა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრი მთავარ-მართებლის კანცელარიის მოხელე ბ-ნი სოკოლოვი.

✦ წარსულ ოქტომბრის განმავლობაში **გადამდებ სენით** ავადმყოფები ყოფილან ტფილისში: ქუნთრუშით—27, დიფტერიტით 11, ყვავილით—10, მუცლის სახადით—6, ყივანა ხველათი, წითელი ქარითა და წითელათი—ორ ორი.

✦ როგორც გადმოგვცეს, **გორის სასოსტატო სემინარიის დირექტორად** დაუნიშნავთ ერევნის სემინარიის დირექტორი ბ. მურომპულო.

✦ 9 ნოემბერს სხდომაზე ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ ბ-ნმა შესტაკოვმა აღძრა საკითხი, თუ როდიდან უნდა მიეცეს საბჭოს მიერ დანიშნული შემწეობა 2000 მ. **სამხატვრო სასწავლებელს.** გამგეობამ მიიღო სახეში ის გარემოება, რომ ამა მიმდინარე წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, ცნობების უქონლობისა გამო, გამოტოვებულ იქმნა სამხატვრო სკოლისათვის შემწეობა დ გარდასწყვიტა, აღნიშნულ სამხატვრო სასწავლებლის ნახევარ წლის შემწეობად შეტანილ იქმნეს დამატებით ხარჯთ აღრიცხვაში 1000 მ. და ეს დადგენილება, საფინანსო კომისიის მოსაზრებასთან ერთად წარედგინოს განსახილველად ქალაქის საბჭოს.

✦ „ნოვ. ობოზრ“.-ს ქუთაისიდან ატყობინებენ, რომ მარგანეცის მრეწველთა საბ-

---

*) უკანასკნელი დეპეშა ლონდონიდან ტელეგრაფმა დააგვიანა.

პოს კრების თავჯდომარე გ. ფ. **ზდანოვიჩი** პეტერბურგს წავიდა ხსენებულ საბჭოს ზოგიერთ საქმეებისა გამო. სხვათა შორის, ბ. ზდანოვიჩს საგნად აქვს შეეცადოს მარგანეცის გადასაზიდავ ტარიფის დაკლებას.

◆ **ჭიათურის ტეხნიკურ კურსებზე** ეგზამენები 24—25 ნოემბერს მოხდა. საეგზამენო კომისიას შეადგენდნენ: ოლქის ინჟინერი, მისი თანაშემწე და ერთიც მარკშეიდერი. ეგზამენი დაიჭირეს შემდეგმა პირებმა: ი. ბელიაშვილმა, ი. პიოტროვსკიმ, ს. ქობულიძემ, ნ. წერეთელმა, ვ. ლომაძემ, ზ. გაჩეჩილაძემ, მ. იაკობაშვილმა, ა. კობიძემ, ო. გაბაშვილმა, ტ. ქავთარაძემ, კ. ისათაშვილმა, ყ. აბდუშელიშვილმა, ს. კავალევსკიმ. კურსებზე სწავლას გაგრძობა მას შემდეგ შეჩერებულია.

◆ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველი ბ. **ბეკი** დაბრუნდა სიღნაღის მაზრიდან, სადაც იგი იყო რუსეთიდან გადმოსახლებულთა საქმეების გამო.

◆ რადგანაც ამ ბოლოს დროს შესამჩნევად გაძლიერებულა ქალაქში და ჯარის კაცებ შორის **ვენერიული ავადმყოფობანი**, ტფილისის პოლიცმეისტერს უთხოვნია საექიმო სამმართველოსათვის, გააძლიერონ საექიმო ზედამხედველობა და საჭირო ზომები მიიღონ.

◆ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭო განიხილავს ქ. ტფილისის შუამდგომლობას **პროსტიტუციის** თვალყურის დევნების ორგანიზაციაზე.

◆ ხვალ ტფილისის ქალაქის **საბჭოს მორიგ სხდომაზე** განსახილველად დანიშნულია 7 ძველი და 16 ახალი საქმე.

◆ ვლადიმერ მესხიშვილს ქეიფის დროს სამგან ხანჯლით დაუჭრია ერთი თანამოქეიფეთაგანი. ამისათვის ოლქის სასამართლოს მესხიშვილისათვის მიუსაჯნია ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და ასტრახანის გუბერნიაში გარდასახლება. 6 ნოემბერს ტფილისის **სამოსამართლო პალატამ** მესხიშვილს აღნიშნული სასჯელი 8 თვის ვადით ციხეში დაპატიმრებით შეუცვალა.

◆ ტფილისის **სამოსამართლო პალატამ** 6 ნოემბერს დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც ენტო კანდელაკიშვილს კაცის მოკვლის განზრახვისათვის გარდაუწყვიტა ზოგიერთ ღირსებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა.

◆ ნიკიფორე ენუქიძისათვის ოლქის სასამართლოს კაცის მძიმედ დაჭრისათვის გარდაუწყვეტია 6 თვით ციხეში დაპატიმრება. 6 ნოემბერს ტფილისის **სამოსამართლო პალატამ** განიხილა სააპელაციო საჩივარი ბრალდებულისა, დამნაშავედ იცნო ბრალდებული და ზოგიერთ ღირსებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 წლის ვადით გაგზავნა გარდაუწყვიტა.

◆ ყვირილიდან გვწერენ: „1 ნოემბერს, ღამის 12 საათზე სიკო ღვედარიანის დუქნის **ბავანიდან** (მეორე სართულია) **გადმოვარდა** მზარეული გ. სახუაძე და სულ ერთიანად დაიმტვრა. ექიმი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერი უშველა და საცოდავი მეხუთე დღეს გარდაიცვალა. ამ უბედურის მოხუცი მამა დარჩა უპატრონოთ. თუმცა მას მეორე შვილიცა ჰყავს, მაგრამ სალდათათ არის წაყვანილი. ურიგო არ იქნება, რომ ადგილობრივმა მთავრობამ მიაქციოს ყურადღება ამ დუქანს და ან დააკეტინოს, ან გააკეთებინოს, ამნაირი საცოდაობა მოხდა წინადაც რამდენჯერმე“.

◆ როგორც ვიცით, შარშან ოც აპრილს ტფილისში გაიხსნა **აუქციონის (საჯარო გაყიდვის) ზალა**. დღიდან დაარსებისა ზალას შემოსვლია სულ—3630 მ. შემოსავლის სიმცირის მიზეზი ყოფილა ერთის მხრივ ის გარემოება, რომ ზალა ქალაქის შუა ადგილას არ იყო, და მეორეს მხრივ წესდების ზოგიერთ მუხლების უვარგისობა. ამიტომ გადაუწყვეტიათ გადმოიტანონ აუქციონის ზალა ქალაქის შუა ადგილას და დანიშნონ საგანგებო კომისია წესდების ზოგიერთ მუხლების შესაცვლელად.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია შტატების მომატებამდე მომავალ წლის გაზაფხულიდანვე შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას ალექსანდროპოლის მაზრაში **სახაზინო გლეხების** მიწად მფლობელობის მოწესრიგებისას. ხსენებულ სამინისტროს განზრახვა აქვს ჯერ ერევნის გუბერნიაში მოაწყოს ეს საქმე და შემდეგ სხვა გუბერნიებში.

◆ გუშინდელ №-ის ახალ ამბებში დაბეჭდილი გვქონდა ავალიანის მაღაზიის ნოქრის ბოროტ-მოქმედების შესახებ. ბ. ავალიანი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის ნოქარი მისი მაღაზიიდან დათხოვნილი იყო რამდენისამე დღის წინად, ვიდრე ხსენებულ ბოროტ-მოქმედებას მოახდენდა.

კავკასიის გამოფენა

სამშაბათს, 13 ნოემბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა ექნება საკითხის ხელმეორედ განსახილველად, გაგრძელებულ იქმნეს მომავალ **1902** წელში კავკასიის სამეურნეო გამოფენა, თუ არა. როგორც შევიტყეთ, ზოგიერთებს განზრახვა აქვთ სხდომაზე წინადადება შეიტანონ ეხლანდელ გამოფენის დახურვისა და მომავალს წელს ახალ გამოფენის გახსნის შესახებ. ასეთს წინადადებას მითი ასაბუთებენ, რომ საზოგადოებას წესდების ერთის მუხლის ძალით ნებართვის უღებლად შეუძლიან ყოველ წლობით გამართოს სამეურნეო გამოფენა.

* *

ტფილისის რკინის გზის სასწავლებელი სთხოვს გამოფენის კომისარს—ჩემი ექსპონატები კონკურსს გარეშე დასტოვეთო. თხოვნა ცოტა დაგვიანებულია, რადგან ამ ექსპონატებს ექსპერტიზა უკვე გაუკეთეს.

* *

ოკრიბის ეკონომიური საზოგადოება სთხოვს გამოფენის კომისარიატს—ნება მოგვეცი ჩვენი პავილიონი ავილოთ და ექსპონატები წავიღოთ, რადგან პავილიონი თან-და-თან ფუჭდებაო.

რუსეთის ქრონიკა

∝ „პეტერ. ვედომ.“-ი იტყობინებიან, რომ სათანადო მთავრობა მომავალ წლის დამდეგს განიხილავს საკითხს ციმბირში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

∝ გზათა უწყება აარსებს ამ ჟამად საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელსაც საგნად ექნება დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე რკინის გზების ღარიბ მსახურთ და მათ ოჯახებს. საზოგადოების წესდება უკვე შემუშავებულია.

∝ წელს გამოცხადდა ახალი კანონი საქველმოქმედო ლატარია-ალეგრების გამართვის შესახებ. ეხლა, როგორც „რუსკ. ლისტ.“ იტყობინება, შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ აღიძრა საკითხი ამ ლატარიების წესების შეცვლის შესახებ. განზრახულია რაც შეიძლება შემცირონ მათი რიცხვი.

∝ უბილეთო მგზავრს ამ ჟამად არსებულის წესით ახდევინებენ ხოლმე ორჯერ მეტს ფასს, ვიდრე ეღირებოდა ბილეთი; ეხლა, „მოსკოვ. ვედ.“-ს სიტყვით, განზრახვა აქვთ ხსენებულ მგზავრს ერთი სამად გადაახდევინონ, რათა ამ გზით უფრო შემცირდეს უბილეთო მგზავრების რიცხვი.

ლ. ნ ასათიანის გარდაცვალება

(წერილი ბათუმიდან)

როგორც მოგწერეთ, დღეს, 9 ნოემბერს, დილის ათ საათზე უეცრად გარდაიცვალა ჩვენი ქალაქის თავი და ცნობილი მოღვაწე ლუკა ნიკოლოზის ძე ასათიანი. გარდაცვალების ამბავმა მეტად შეაწუხა ყველა, რადგან ჯანმრთელად ჰხედავდნენ ბოლოს ხანებში. განსვენებული თუმცა მუდამ მეტად ბევრს მუშაობდა და ჩვეულებრივ იყო გადამეტებული მუშაობის, მაგრამ იმ ძნელ ავადმყოფობის შემდეგ, რომელსაც ამ რამდენიმე წლის წინად გადურჩა, სუსტად გრძნობდა თავის თავს და ვეღარ მუშაობდა ისე, როგორც მისი გული ითხოვდა. — ვეღარ ვმუშაობ როგორც ჩემს გულს სწადიან, — ამბობდა იგი — ისე ვგრძნობ ჩემს თავს, თითქო სხვა ადგილას ვზივარო. და განსვენებული ცდილობდა, ძალას ატანდა თავის თავს, რომ მისდა გულის დასაჯერად ემუშავნა და მუშაობდა კიდეც. ერთობ ბევრი საზრუნავი გაუჩინა უკანასკნელმა შემთხვევებმაც—როცა ჟამის შიშმა მთელი ქალაქი ფეხზე წამოაყენა. იგი დილიდან საღამომდის მუშაობაში იყო გართული საშიშარ სენის ასარიდებლად მისაღებ ზომების გამონახვისათვის, ესწრებოდა ყოველ სხდომებს, რომელნიც ამისათვის იმართებოდა, და იგი იყო აღმასრულებელიც მიღებულ ზომათა. ავადმყოფი ამ რამდენიმე დღის წინად, ავდრის მიუხედავად, მივიდა სამკურნალოს შენობის დასათვალიერებლად, დაჰყო იქ თითქმის საათნახევარი და როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი თავის რიგზე კეთდებოდა—მხოლოდ მაშინ დაბრუნდა სახლში.

სიკვდილის წინ მთელი საღამო მუშაობაში გაატარა, თუმცა გულის ფრიალს გრძნობდა. ღამე ძილი არ მიეკარა, მხოლოდ 5 საათზე მიეძინა და ეძინა გათენებამდის. შემდეგ ამდგარიყო, ეხმო ბაზრის ერთი ზედამხედველი, დაენიშნა მისთვის დრო და ადგილი, სადაც მას უნდა დახვედროდა, ენახულა გამგეობის მდივანი და ის იყო სახლიდან სამსახურში წასვლას აპირებდა თურმე, რომ გული შესწუხებოდა და მის მომვლელ მიქაძისათვის ეთქვა—ვალერიანის კაპლი მომიტანეთ ათთიაქიდანო. ის იყო, მისი ბრძანების მიმღები ოთახიდან გასულიყო, რ[illegible] მოსმოდა თითქო ვიღაც დაეცაო; შემობრუნებაზე მას ენახა, რომ ასათიანი იატაკზე იდვა: მივარდნილიყო მასთან, მაგრამ ლუკა ნიკოლოზის ძე აღარც ინძრეოდა, აღარც ხმას იღებდა; აფრინეს კაცი ექიმთან, რომელმაც შეამოწმა უეცრად სიკვდილი.

ეს ამბავი ერთ წამს მოედო მთელს ქალაქს და საშინელი მწუხარებით აავსო ყველას გული. ამ იშვიათ ჭკუის ადამიანს, სადაც მუშა-კაცს თავის ნამოქმედარით ყოველი მცხოვრების გული ჰქონდა მოპოვებული და ამიტომ ყველა მწუხარებით შეხვდა მის მიცვალების ამბავს.

საღამოს ექვს საათზე გარდახდილ იქმნა პირველი პანაშვიდი. მამით მიასვენებენ ქუთაისში, იქიდან კვირას მის მამულში სოფელ ქვიტირში. მიცვალებულის გასვენების ხარჯი ქალაქმა მიიღო თავის თავზე.

განსვენებული 67 წლისა იყო.

ბ.

ღია წერილი

ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს

პატივცემულო იაკობ სვიმონისძევ!

„ცნობის ფურცლის“ 1626 №-მა შემატყობინა თქვენი საქციელი და თქვენი სიტყვები შესახებ კავკავის ქართული სკოლისა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრთა საზოგადო კრებაზე 28 ოქტომბერს.

მე მგონია, რომ თვითონ თქვენ უარჰყოფდით რეპორტიორის სიტყვების სიმართლეს და თუ რეპორტიორმა ყველაფერი მართლად გადმოგვცა, იმ შემთხვევაში, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ, როდესაც თქვენ დამშვიდდებოდით, ნაუფიქრებლად თქვენს სიტყვებს, საჯაროდ დაინახავდით, ბოდიში მოგვიხდით და უსამართლოდ ნათქვამიც ისევ უკან წაიღებდით. მაგრამ, სამწუხაროდ, ამაშიაც მოვტყუვდით.

„ცნ. ფურ.“ 1630 ნომერში თქვენ ამოწმებთ რეპორტიორის სიტყვების სრულს სიმართლეს, მხოლოდ გამოჰკიდებიხართ წვრილმან რამეს, სახელდობრ, ერთხმივ მოგაძახესთ გამგეობის წევრებმა, რომ „თქვენი სიტყვები ჭორია“, თუ ზოგიერთმა წევრებმა მოგაძახესთ ეს სიტყვა ცალ-ცალკე. განა ამაში დიდი განსხვავებაა?! ჭორი ხომ მაინც ისევ ჭორად დარჩება, როგორც უნდა მოგაძახონ. სამწუხარო ის არის, რომ კრებაზე ვეღარ გაგიბედესთ, თამამად მოთხოვათ, რომ თქვენი სიტყვები ისევ უკანვე წაგეღოთ და მხოლოდ აღნიშნეს, რომ თქვენ კოლეგიალური დაწესებულების ეთიკა დაარღვიეთ.

თქვენ წამოაყენეთ საზოგადო კრებაზე სიტყვები, რომელნიც ამცირებენ კავკავის ქართულ სკოლას და არცხვენენ მასწავლებლებს. თქვენ შეგეძლოთ ბევრი გელაპარაკნათ საზოგადოთ არსებულ წესზე, მაგრამ მასწავლებლების დაძრახვის ნება კი არ გქონდათ. თქვენი დანაშაული ორკეცდება იმით, რომ თქვენ ბრძანდებით გამგეობის წევრი. როგორც გამგეობის წევრს, თქვენ არამც თუ არ უნდა მიგეყენებინათ შეურაცხყოფა, არამედ თვითონ უნდა ბრძანებულიყავით თქვენივე სკოლისა და თქვენის ხელქვეით მყოფ მასწავლებლების დამცველი და მათ მაგიერ პასუხის მგებელი. ამასთან თქვენ, როგორც პედაგოგმა, კარგად იცით, რამდენათ ძნელია მასწავლებლობა, როგორ შეუწყობელია მატერიალურად სახალხო სკოლის მასწავლებელი, რამდენად დიდს შრომას ეწევა ის, რამდენად ბევრს თხოულობს მისგან საზოგადოება და როგორ სულ უბრალო რაზედმე ლანძღავენ და ათასნაირ საყვედურს უცხადებენ ხოლმე ამ პატიოსან მუშაკთ. კარგად იცით აგრეთვე ისიც, რამდენად ძნელია სამსახური კერძო სკოლებში, სადაც ყველა, თუ კი ვინმეს რამე შემოუტანია, ან გაუკეთებია სკოლის სასარგებლოდ, ბატონობას ჩემულობს და თავის პრეტენზიებს აცხადებს... ნუ თუ ასეთ მდგომარეობაში მყოფი მასწავლებელი არ არის იმის ღირსი, რომ შეგნებულმა პირებმა ზნეობრივად მაინც შემწეობა აღმოუჩინონ და მისი პიროვნება დაიცვან?!

თქვენ კი—გამოცდილმა პედაგოგმა, მასწავლებლების ხელმძღვანელმა—იკადრეთ და თქვენსავე სკოლას და მასწავლებლებს წიხლი წაჰკარით.

თქვენ საქვეყნოდ გაიძახით, რომ იმ სკოლაში, რომელიც ამდენ ხანს სასიქადულოთ ითვლებოდა საქართველოში, ახლა კი „მასწავლებლებს თავ-პირს ამტვრევენო“.

ნუ თუ ცოტათი მაინც არ დაუფიქრდით თქვენს სიტყვებს? მაშ ნაუფიქრდით ახლა და შეიგნეთ, რომ მე, როგორც კავკავის ქართული სკოლის გამგე და აქაური კომიტეტის თავმჯდომარე, კატეგორიულად გთხოვთ, თქვენ ბ. იაკობ გოგებაშვილს, რომ ბოდიში

დოთ და თქვენი სიტყვები, როგორც

ბული ჭორებზე და ინტრიგებზე, უკ

დოთ...

თავ-დავიწყებამდის მიგიყვანათ თქ

აზრმა, რომ ვითომც სკოლის საქმეებ

გასაგებლს სკოლისავე უფროსი შის

და არა ისეთი პირი, რომელსაც ს

კვეთილი არა აქვს, როგორც მაგალ

თქვენ მიერ წამოყენებული კით

ბით არ არის ახალი. ამ საგნის შ

წლის წინად დიდი სჯა და ბაასი იყ

იყო ამის შესახებ ლაპარაკი ორის წლ

როდესაც პატივცემულმა ტ. ბ. გახი

ლის გამგეობას თავი დაანება.

აქაურის საქმეებისა და გარემოების

პირებმა სულ სხვანაირად გასჯეს, ვიდრე თ

ფიქრობთ, და დასტოვეს ისევ ძველებური

სი, ესე იგი, მთავრობის წინაშე პასუხს აგებს როგორც პედაგოგიურის, აგრეთვე ეკონომიურის მხრითაც, სკოლის გამგე—პირი, რომელსაც მეტი განათლება მიუღია და მეტი გავლენა აქვს საზოგადოებაში, ვიდრე სკოლის უფროსს მასწავლებელს.

ამასთან ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ეს თანამდებობა უსასყიდლოა, თუმცა მისი ასრულება ძალიან ბევრს დროსა და შრომას თხოულობს.

ზემოთ მოყვანილი წესი დამტკიცებულია საზოგადოების გამგეობის მიერ და შესაფერი ინსტრუქციაც გამოგზავნილი აქვს აქაურს სკოლას. ამ ინსტრუქციის დამტკიცებაში მონაწილეობა მიიღეთ თქვენც, როგორც გამგეობის წევრმა, და თუ ახლა მოისურვეთ ინსტრუქციის შეცვლა: რატომ ისევ გამგეობას არ მიჰმართეთ? გამგეობას შეეძლო შეეცვალა ინსტრუქცია ისე, როგორც შეიმუშავა და დაამტკიცა. საზოგადო კრება აქ რა შუაშია? ინსტრუქციის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა გამგეობის გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგვავის კართველებმა. ესენი, თუ კი გამგეობა შეეკითხებოდა, დიდის სიამოვნებით შეატყობინებდნენ თავის აზრს ამა თუ იმ მუხლის შესახებ. თქვენ ამტკიცებთ, რომ აღძრით «კითხვა 12 ივნისს» და რადგანაც «ზურაბიშვილი შეეცადა», კითხვა გადაიდო სექტემბრისთვის («ცნ. ფურ.» № 1630).

ეს კითხვა ფრიად რთული კითხვაა. იმის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე, შეიძლება თვით სკოლის არსებობაც არის დამყარებული და გონიერება მოითხოვდა არ გადაწყვეტილიყო ეს საგანი აჩქარებით და მოუფიქრებლად.

ნუ თუ თქვენ ვეღარ შესძელით, რომ ეს კითხვა ხელმეორედ აღგეძრათ გამგეობაში და საზოგადო კრებაზე არ შეგესრულებინათ ბრალმდებლის როლი, რომელიც თქვენ სრულებით არ შეგფეროსთ? თქვენ თუ გულ-წრფელად ბრძანდებოდით წინააღმდეგი არსებულის წესის, მე ვფიქრობ, ბ. ზურაბიშვილიც ვერ შეგიშლიდათ, რომ ეს საგანი გამორკვეულიყო.

მაგრამ განა საქმე აქ წესშია? სამწუხაროდ, აქაც, როგორც ბევრს ჩვენს საზოგადო საქმეში, ყველაფერი პიროვნებაზე არის დამყარებული: თქვენ არ მოგწონთ, რომ სკოლის გამგეთ ვარ მე და არა სკოლისავე უფროსი მასწავლებელი. ეს თქვენი აზრი მე წინათაც მქონდა გერძოდ შეტყობილი. უფრო უმჯობესი იყო, თქვენ გელაპარაკნათ პირ-და-პირ, გაბედულათ ჩემს წინააღმდეგ და სკოლა და მასწავლებლები კი არ გაგელანძღათ.

თუმცა გაგკავის სკოლის მდგომარეობას თქვენ არ იცნობთ (გამგეობის წევრთა შორის, თქვენ, როგორც თავისუფალ მოღვაწეს, ყველაზედ უფრო ადვილად შეგეძლოთ, ერთხელ მაინც გენახულათ აქაური სკოლა, მაგრამ ეს ჯერ არ გინებებიათ), მაგრამ მაინც ამტკიცებთ—(«ცნ. ფურც». № 1630.) გაგკავის სკოლამ დაიქვეითა და ამ აზრს ამყარებთ ბ. გ. თისელიანის რევიზიაზედ. მე ხელთ მაქვს რევიზიები ბ.ბ. დირექტორების და ინსპექტორებისა, რომელნიც სულ წინააღმდეგს ამტკიცებენ, ვიდრე თქვენ, და ქართული სკოლა მთელს ოლქში ერთს საუკეთესო სკოლათ მიაჩნიათ. მაგრამ თქვენთვის, რა თქმა უნდა, გამგეობის რევიზორის ბ. თისელიანის აზრი უფრო ავტორიტეტულია და მეც მარტო იმას რევიზიის შესახებ მოგახსე-

სე..იანის მოხსენება მე არ წამოვით-
ლდოდ იმან პირადად გადმომცა მე და
ვერ უარჰყოფს, რომ სკოლის საქმე,
ოდ, უწინდელზე უფრო უკეთესად მი-
ახლა აღარ არის ისე, რომ მთელი გან-
სუსტობდეს, როგორც ეს იყო წი-
ი ჩამოსვლაზედ. (იხ. საზ. ანგა-
წ.) ამასვე მოწმობს დაბეჭდილი
0 წ., სადაც სწერია—«ბ. გ.
მოხსენებით, სწავლის საქმე ყვე-
ლებაში რიგიანად მიდის, მხოლოდ
ყოფილებაში რუსული ენა კოჭლობ-
როგორც ხედავთ, თქვენ მიერ აღნიშნუ-
ქითება ოფიციალურის მოხსენებისა და
მოწმობის ძალით გამოიხატება მხ-
მეოთხე განყოფილებაში რუსული ენის
კოჭლობაში.

მეოთხე განყოფილებაში რუსულ ენას ასწავლის სკოლის უფროსი მასწავლებელი. იგივე უფროსი მასწავლებელი ასწავლიდა რუსულ ენას უწინაც.

თქვენის თქმით გამოდის, რომ ამ უფროსს მასწავლებელს თუ კიდევ სკოლის გამგეობა ჩააბარეთ, ესე იგი, რაც ახლა შრომა აქვს (ის ასწავლის ყველა საგნებს მესამე და მეოთხე განყოფილებაში), კიდევ ორი იმდენი მიუმატეთ და ჯამაგირი კი არაფერი, მაშინ, ალბათ, სკოლა სულ უნაკლულო იქნება და მეოთხე განყოფილების მოწაფენიც რუსულ ენაში გასწორდებიან.

მაგრამ ეს ხომ ისეთი მეტამორფოზა იქნება, რომელსაც ჩემისთანა ახალგაზრდა პედაგოგი ვერც კი მიხვდება.

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია შეგატყობინოთ, რომ, როგორც მივიღე ცნობა თქვენის საქციელის შესახებ, მე შევუთვალე გამგეობას, რომ უარს ვაცხადებ სკოლის გამგისა და კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზედ-მეთქი. ჩემს დეპეშაზედ მივიღე ბ. ნ. ზ. ცხვედაძისაგან პასუხად, რომ გამგეობის ყველა წევრები მთხოვენ (всѣ члены правленія убѣдительно просятъ), დავრჩე ისევ ორივე თანამდებობაზე. როგორც ხედავთ, გამგეობამ მე გამომიცხადა სრული თავისი ნდობა. მე მაინც არავითარ პასუხს არ მივსცემ გამგეობას მის თხოვნაზედ, სანამ ხელ-ახლათ არ განიხილავს თქვენ მიერ წამოყენებულს კითხვას და პრინციპიალურად არ გადაწყვეტს ამ საგანს. მე ვთხოვ ბ. ზურაბიშვილს, ნუღარ «შეეცდება» რომ კითხვის გადაწყვეტა კიდევ გადასდოს და თქვენც, რასაკვირველია, უნდა შეეცადოთ, თუ კი მართლა დარწმუნებული ბრძანდებით თქვენის აზრის სიმართლეში, რომ ეს აზრი გაიყვანოთ. პირადად მე დიდი მოხარული ვიქნები, რადგანაც მაშინ განვთავისუფლდები დიდის შრომისა და პასუხის გებისაგან.

ამნაირად მე თქვენ გაძლევთ თავისუფლებას და შეძლებას განიხილოთ და გაიყვანოთ თქვენი კითხვა კანონიერად და წესიერად. და რაც შეეხება თქვენს უკანონო საქციელს, იმედი მაქვს, ბოდიშის მოხდას არ დაიგვიანებთ.

თქვენი პატივის მცემელი
პართენ ალ. გოთუა.

ქ. კავკავი,
5 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქტორი
ალ. ჭყონია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 9 ნოემბერს

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	[illegible]
ბერლინზე 100 მარკაში	45,95
პარიზზე 100 ფრანკში	37,35
ლონდონზე ჩეკები	94,70
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96 მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	468 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	344 მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	243½ „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	87½ გაყიდ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	88 „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის, 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის .9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო —გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ- 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ბაქო-ტფილისისაკენ 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2)—შუადღის 1 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის დამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე და ბაქომდე: 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.).

განცხადებანი

იყიდება სრულიად გაწყობილი **ორთქლის ქვაბი, ორთქლის მანქანა** და **დინამომაშინა.** პირობების შეტყობა შეიძლება სათავად აზნაურო მამულების სამმართველოს კანტორაში, სასახლის ქუჩაზე, თავადაზნაურობის სახლში, დილის 11 საათიდან 3 საათამდე. (6—2)

ვეფხის-ტყაოსანი

სცენები

შოთა რუსთაველის

პოემიდან, რუსულად შედგენილი **რ. ფონგარის-მიერ** სურათებით. **ფასი 1 მან.**

საწყობი—ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში. ისყიდება იქვე და ხიდდეკელის მაღაზიაში. (50—6)

ისტორიული თხზულება (რუსულად)
ზ. ავალიშვილისა

საქართველოს შეერთება რუსეთთან

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ. ხიდდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგარფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—39)

ახალი წიგნი

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუქით)

ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟინეიშვილის მაღაზიებში.

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება თარგმანება
ივ. მაჭავარიანისა:

გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . . ფასი 2 40
ბრძყალები, დრამა 3 მოქ. „ — 30
იმდითი, დრამა 5 მოქმედ. „ — 30
ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 50

ინჟინერი

გიორგი ლეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოებს: 1) მადნეულობის გამოკვლევა—ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვ. 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში და 4) პლანების გაეთებას და სხვა საინჟინერო საქმეებს.

სნახვა შეიძლება ყოველ დღე, 4 საათიდ ან 6 საათამდე. ადრესი: Георгіевская площадь №32. (5—5)

თხზულება

თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი. თითო №-რი 3 კ. დამატებით — 5 კაპეიკ

განმარტება

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „**ფარმაცევტების გარდა** სხვებსაც შეუძლიანთ წევრებად ჩაწერა თუ არაო? ან კიდე: „ქალებს მიიღებთ წევრად თუ არაო?“

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დაარსეთ ეს ამხანაგობა, **წევრებად კი ყველანი მიიღებიან განურჩევლად სქესისა.** პაი ღირს **ხუთი თუმანი.** მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.

ამხანაგობის დეპო და გამგეობა იმყოფება ტფილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალხაზიშვილის სახლში. განყოფილება სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტის: Тифлисъ. Товарищество Фармацевтовъ. (100—64)

ტელეფონი № 741.

ტელეგრ. ადრ.: Тифлисъ. „Фармацевтика“

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

კიოსკში

სურათები

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროის საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა

ფასი 20 კ.

ძველი ქართველთა მწერლების

სურათები, შედგენილი ტ. მოსცელიძისა.—**ფასი 85 კაპ.**

იქვე იყიდება ყველა ქართული გამოცემანი. ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—5)

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი,** ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა **„დამონებულნი“,** თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა ხპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Ноября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.